დასკვნა

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, IV მ/რ-ში პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (სკადასტრო კოდი: 01.17.07.024.050) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი ,,B,,) მშენებლობისას მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე გავლენის შესახებ

კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე

თბილისი 2018წ.

დასკვნა

ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, IV მ/რ-ში პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (სკადასტრო კოდი: 01.17.07.024.050) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი ,,B,,) მშენებლობისას მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდგრადობაზე გავლენის შესახებ

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ბლოკი ,,B,,) მდებარეობს ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, IV მ/რ-ში პატარიძის ქუჩის მიმდებარედ (სკადასტრო კოდი: 01.17.07.024.050)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა განაპირა ღერძებში ზომებით: 19.6X20მ. შენობა შედგება 11 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულისაგან. მიწისქვეშა სართული და პირველი მიწისზედა სართული ძირითადად განკუთვნილია ავტოსადგომებისათვის. ხოლო დანარჩენი სართულები კი საცხოვრებელი ფართებისათვის.

შენობის მიწისქვეშა და პირველი მიწისზედა სართულის სიმაღლე შეადგენს **H=2,8მ;** ხოლო დანარჩენი სართულების სიმაღლე კი- **H=3,15მ**-ია;

ასაშენებელ მრავალბინიან საცხოვრებელი სახლს ჩრდილოეთის მხრიდან 16მ-17მ-ის დაშორებით ესაზღვრება ამავე ტერიტორიაზე მშენებარე 18 სართულიანი შენობა ორი მიწისქვეშა სართულით (იხ. ნახაზი-1), ხოლო სამხრეთის მხრიდან კი 4მ-7,5მ-ის დაშორებით ესაზღვრება ერთსართულიანი ავტოფარეხები.

აღმოსავლეთის მხრიდან ასაშენებელ შენობას ესაზღვრება მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.17.07.024.033, რომელზედაც განთავსებულია სპორტული მოედანი. დასავლეთის მხრიდან კი- 10-11მ-ის დაშორებით ესაზღვრება გზა, რომელიც განკუთვნილია ქვეითად მოსიარულეთათვის.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.17);** გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება **II** კატეგორიას.

სამშენებლო უბანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **85 კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ²** (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

საპროექტო შენობის აბსოლუტურ ნიშნულს **+ 555,34 მ** შეესაბამება შენობის პირველი სართულის იატაკის ნიშნული (არქ. +/- 0.00 მ)

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნება განხორციელებულია მთლიანი რკ.ბ-ის ფილით თიხნარ გრუნტზე (სგე I; ფენა 2; თიხნარი მოთეთრო ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, თაბაშირიანი, ხვინჭის იშვიათი ჩანართებით.), რომლის საანგარიშო წინაღობაა R_o = 4,0კგძ/სმ^2, ხოლო დეფორმაციის მოდული E=132კგძ/სმ^2;

ადგილზე არსებული სიტუაციური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვაბულის დამუშავებისას ქვაბულის კედლებს შესაძლებელია მიეცეს ე. წ. ,,ბუნებრივი,, დახრა ფიგ. 2-ზე ნაჩვენები სქემატური ნახაზის შესაბამისად. საბოლოო გადაწყვეტები ქვაბულისა და ზოგადად შენობის დაფუძნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება კონსტრუქციულ მუშა ნახაზებში.

დასკვნა:

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე, ასევე შენობის გეგმარებითი პარამეტრებიდან და შენობის დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მდგრადობის თვალსაზრისით მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი ექსპლუატაციის პირობებშიც.

კონსტრუქტორი: თ. მაცაბერიძე



ნახ. 1



ფიგ.2

სპეციალისტის სახელი და გვარი: თემურ მაცაბერიძე

ტელეფონის ნომერი: 599744480

ელექტრონული ფოსტა: temur.matsaberidze@gmail.com